Შ.პ.ს. „ჯავახავტოგზა“

ქ. ახალქალაქი, შაუმიანის ქ. №1

ტელ. 599 10 82 83

№ 48

19.07.2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ქ.თბილისი, მ. გელოვანის ქ. 6, 0114

საკითხი: დამატებითი ინფორმაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხოსპიოში 160 ტ/ს. წარმადობის ასფალტის ქარხნის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქმიანობის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით

ასფალტის ქარხანის მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქმიანობისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საჭიროების დადგენის მიზნით, სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ შპს „ჯავახავტოგზის“ მიერ, მიმდინარე წლის 2 ივლისს გამოგზავნილ წერილზე № 9526 დამატებით ინფორმაციას.

მოგახსენებთ, რომ შპს „ჯავახავტოგზა“ მიზნად ისახავს ასფალტის ქარხანის განთავსებას ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ქ. ახალქალაქის სამხრეთით, მისგან 4,0კმ-ის დაშორებით, სოფ. ხოსპიოს მიმდებარედ, ახალქალაქი-ნინოწმინდის საავტომობილო გზასა და მდ. ფარავანს შორის, საკადასტრო კოდით - 63.19.34.008.

გაცნობებთ, რომ ნახევრად მობილური ასფალტის ქარხანა იმუშავებს წელიწადში 130 დღის განმავლობაში. დღე-ღამის განმავლობაში ქარხანა იმუშავებს 8 საათი. შესაბამისად, ობიექტის წლიური წარმადობა შეადგენს დაახლოებით 170 000 ტ.-ს. ქარხნის ექსპლუატაციის პერიოდი განსაზღვრულია დაახლოებით 1.5 წლით. წლის განმავლობაში, ობიექტის ფუნქციონირებისთვის საჭიროა დაახლოებით 1 360 000 მ³ გაზი.

და ბოლოს, ნედლეულის ქარხნისთვის მიწოდება მოხდება ადგილობრივ ბაზარზე არსებული სხვადასხვა ლიცენზირებული მიმწოდებლების მხრიდან. ქარხნის სასმელი წყლით მომარაგება კი, გათვალისწინებულია ბუტლირებული სახით, ან ცისტერნებით.

პატივისცემით

შპს „ჯავახავტოგზა“

დირექტორი ნოდარ ინასარიძე

№ 10535
22 07 2019
1 ფ.